ავტობიოგრაფია

მე, სალომე კვერღელიძე დავიბადე 1992 წლის 24 აპრილს, ქ. ბათუმში.

1998 წელს სწავლა დავიწყე ქ. ოზურგეთის №2 საჯარო სკოლაში, რომელიც დავასრულე 2010 წელს, წარჩინებით - ვარ ოქროს მედალოსანი. იმავე წელს, ასპროცენტიანი სახელმწიფო გრანტით, ჩავირიცხე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. სწავლის განმავლობაში ვიყავი სახელმწიფო სტიპენდიის მფლობელი. ბაკალავრიატის საფეხური დავასრულე 2014 წელს, წარჩინებით. იმავე წელს სწავლა გავაგრძელე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს - ინჟინერინგის ფაკულტეტზე, სამართალმცოდნეობის სპეციალობის სამაგისტრო პროგრამაზე, ასპროცენტიანი სახელმწიფო გრანტით. 2016 წელს მომენიჭა სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

2013 წლის ნოემბერში დავიწყე სტაჟირება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. 2014 წლის აგვისტოდან დავინიშნე იმავე კოლეგიის სხდომის მდივნად, 2015 წლის თებერვლის ბოლოდან მუშაობა გავაგრძელე მოსამართლის თანაშემწედ, ხოლო 2016 წლის ივნისიდან - მოსამართლის თანაშემწე - მთავარ კონსულტანტად.

2018 წლის აპრილიდან დავინიშნე თბილისის სააპელაციო სასამართლოში, მთავარი კონსულტანტის - მოსამართლის თანაშემწის - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის პოზიციაზე. ვმუშაობდი ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით.

2020 წლის მარტიდან დავინიშნე საქართველოს უზენაეს სასამართლოში, მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად - ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის სამდივნოს მწერალ თანაშემწედ. 2022 წლის იანვრიდან 2023 წლის ივლისამდე პერიოდში მუშაობა გავაგრძელე იმავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში, მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად, მთავარ კონსულტანტ - მოსამართლის თანაშემწედ.

2023 წლის 11 ივლისიდან 2024 წლის 11 ნოემბრამდე ვიყავი იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.

2015 წელს ჩაბარებული მაქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით. 2018 წელს გავხდი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, თუმცა სტატუსი შევიჩერე, პირადი განცხადების საფუძველზე, საჯარო სამსახურში საქმიანობის გამო.

2019 წელს ჩავაბარე მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით.

გავლილი მაქვს არაერთი პროფესიული ტრენინგი და სემინარი, მათ შორის, ვესწრებოდი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლისა და სხვა დონორი ორგანიზაციების (PROLOG, OHCHR, USAID) მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს, ვარ მართლმსაჯულების ზაფხულის სკოლის (2018 წ.) მონაწილე და ერთ-ერთი გამარჯვებული.

სალომე კვერღელიძე

Salome Kvergelidze 33001072308

Digitally signed by Salome Kvergelidze
Date: 2024.11.13 14:19:27